2-6853/20
25-06-2020

საქართველოს პარლამენტის
ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტს

ასლი: საქართველოს პარლამენტის
საორგანიზაციო დეპარტამენტს

საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა
და
ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის

დ ა ს კ ვ ნ ა

საქართველოს კანონის პროექტზე **„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** და მისგან გამომდინარე კანონების პროექტებზე
(№07-2/489; 16.06.2020)

საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა 2020 წლის 25 ივნისის სხდომაზე განიხილა საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონების პროექტები: „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და მომზადებულად მიიჩნია საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განხილვისათვის შემდეგი დათქმების გათვალისწინებით:

მაკონტროლებელ ორგანოს სამედიცინო დაწესებულებების გაკონტროლების უფლებამოსილება უნდა ჰქონდეს კვლავ მოსამართლის ბრძანების საფუძველზე იმ პირობით, რომ მოსამართლის მიერ შუამდგომლობის განხილვა მოხდება იმ დაწესებულებისთვის შეუტყობინებლად, რომლის მიმართაც ხორციელდება კონტროლის ღონისძიებები. ამასთან, მნიშვნელოვანია, საქმის განხილვისას ოპერატიულობის უზრუნველყოფა (არაუმეტეს 72 საათისა, როგორც ამას მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს). აღნიშნულით ერთი მხრივ, თავიდან იქნება აცილებული შესამოწმებელი მასალისა და შესაბამისი მტკიცებულებების განადგურების საფრთხე, ხოლო მეორე მხრივ, შენარჩუნებული იქნება კონტროლის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების მაღალი ლეგიტიმაციით მიღების სტანდარტი.

იმ ნორმებს, რომელთა მიხედვით განისაზღვრება სამედიცინო საქმიანობის შეჩერების უფლებამოსილება, დაემატოს პირობა, რომლის მიხედვით სამედიცინო საქმიანობის შეჩერება შესაძლებელი იქნება ტექნიკური რეგლამენტის პირობების მხოლოდ ისეთი დარღვევის შემთხვევაში, როცა საფრთხე ექმნება ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას და ეპიდემიოლოგიურ მდგომარეობას, რათა თავიდან იქნეს აცილებული უფლებამოსილი ორგანოს მიერ საქმიანობის შეჩერება ისეთ შემთხვევებში, როცა დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე საფრთხე არ ექმნება დასახელებულ სიკეთეებს.

ამასთან, კომიტეტს საკანონმდებლო პაკეტის მიმართ გააჩნია შემდეგი სახის შენიშვნები:

1. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში განსახორციელებელი ცვლილებებით განისაზღვრება სამედიცინო საქმიანობის მაკონტროლებელი ორგანოს დამატებითი უფლებამოსილებები. მიზანშეწონილია, კანონში მიეთითოს, რომელი უწყება ასრულებს მაკონტროლებელი ორგანოს ფუნქციას.

2. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის პირველი მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად კანონის 63[1] მუხლს ემატება მე-12 პუნქტი, რომლის მიხედვით „ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა ... გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.“ აღსანიშნავია, რომ ანალოგიური ნორმა მოცემულია მოქმედი კანონის იმავე მუხლის მე-4 პუნქტში. მიზანშეწონილია, თავიდან იქნეს აცილებული ნორმების განმეორება.

3. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობის ტექნიკური რეგლამენტის შეუსრულებლობა გამოიწვევს დაჯარიმებას არანაკლებ 2000 და არაუმეტეს 5000 ლარისა“. შესაბამისად, ჯარიმის ოდენობა იზრდება 10-ჯერ კანონის დღეს მოქმედი რედაქციისგან განსხვავებით. მიზანშეწონილად მიგვაჩნია კანონის პროექტით განსაზღვრული ჯარიმის ქვედა ზღვრის შემცირება, რათა ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული პირობების ნაკლებად მძიმე დარღვევების არსებობის შემთხვევაში სასამართლოს ჰქონდეს ადეკვატური ჯარიმის შეფარდების შესაძლებლობა.

კომიტეტის თავმჯდომარე
რომან კაკულია